№ 24 2 თებერვალი, ხუთშაბათი 1866—1878 2 თებერვალი, ხუთშაბათი № 24

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

მირქმის დღესასწაულის გამო, ხვალ, პარასკევს გაზეთი არ გამოვა.

## ტელეგრამმები

**ვენა, 30 იანვარს.** ავსტრო-ვენგრიის მმართებლობამ მიიღო ოსმალეთისაგან ფირმანი, რომ თავის ჯავშნიანი ხომალდები სტამბოლის პირ-და-პირ მიიყვანოს და იქ გააჩეროს.

ათინიდამ მოვიდა ამბავი, რომ საბერძნეთმა თავის ჯარი, რომელიც თესალიაში და ეპირში გაგზავნა, ისევ უკან გამოიხმოვო.

რომიდამ იწერებიან, რომ კარდინალების მომეტებულმა ნაწილმა გადაწყვიტაო, რომ რომის ახალი პაპის ამორჩევა რომში, და არა სხვა რომელსამე ქალაქში, მოხდესო.

**ბუხარესტი, 30 იანვარს.** დეპუტატების პალატამ შეადგინა რუმინიის მთავრის სახელობაზე ადრესი, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ისინი თანხმანი არ არიან, რომ რუმინიის სამფლობელო ბესარაბია რუსეთს დაუთმონ.

**პეტერბურღი, 31 იანვარს.** „მმართებლობის მოამბეში" გამოცხადებულია შემდეგი ტელეგრამმა, რომელიც რუსეთის კანცლერს გაუგზავნია ბერლინში, ვენაში, ლონდონში, რომში და პარიჟში რუსეთის წარმომადგენელ ელჩებისათვის:

„20 იანვრის დიდი ბრიტანიის მმართებლობამ ისარგებლა ხონთქრის ფირმანით და თავის ფლოტი სტამბოლს მიაყენა ამ განზრახვით, რომ ბრიტანიის ქვეშევრდომნი დაიცვას. სხვა სახელმწიფოებიც ამგვარათვე მოიქცევიან.

„ეს გარემოება ვალდებულად გვხდის, რომ ჩვენც ჩვენის მხრითაც ვიზრუნოთ იმ ქრისტიანების სიცოცხლისა და ქონების დაცვისათვის, რომელთაც შესაძლებელია რაიმე განსაცდელი მიადგესთ. ამის გამო ჩვენ უნდა გვქონდეს მხედველობაში ჩვენი ჯარების სტამბოლში შეყვანა.

## საქართველო

### აფხაზეთის დასახლებაზე

მოგეხსენებათ, რომ ჩერქეზების გადასახლების შემდეგ, იმათი ქვეყანა სრულიად უპატრონო და აოხრებული დარჩა, ამ გვარადვე უპატრონოთ და უფრო აკლებული დარჩა ახლა აფხაზეთი მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მცხოვრებნი ოსმალეთში გადავიდნენ.

რასაკვირველია, რომ ჩერქეზების გადასახლებისა-თანავე მმართებლობამ მიაქცია ყურადღება ამ უპატრონოთ გაშვებულ ქვეყანას და მოინდომა იმის დასახლება. გადაწყვიტეს, რომ შუაგულ რუსეთიდამ მოყვანილი გლეხები და აგრეთვე სხვა სლავიანები დაესახლებინათ, რადგან პოლიტიკურის მხრით ესენი საიმედონი არიანო...

ყოველგვარი წარჩინება, ფული, სამეურნეო იარაღი, საქონელი და სხვა დაურიგეს იმათ, ვინც რუსთაგანმა ანუ სლავიანთაგანმა განაცხადა ჩერქეზეთში დასახლების სურვილი; რამდენიმე წლის განმავალობაში ყოველგვარის გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ.

მაგრამ რა გამოვიდა?

გამოვიდა ის, რომ ახლად-მოსულმა რუსებმა და სლავიანებმა ვერ აიტანეს აქაური ჰავა, ვერ შეეთვისეს აქაურ ბუნებას, და ამის გამო ზოგი დაიხოცა და მომეტებული ნაწილი ისევ უკან დაბრუნდა, საიდამაც მოსულიყო.

შემდეგ ეს კიდევ უპატრონოთ დარჩენილი მიწები დაანაწილეს და დამსახურებულ ჩინოვნიკებს დაურიგეს ჯილდოთ ხელმწიფის ერთგულებისათვის. მაგრამ, რასაკვირველია, ესენი ვერ დაასახლებდნენ ამ ქვეყანას: იმათი მიწები ისევ უპატრონოთ, ვერანად იყო გაშვებული, რადგან თვითონ არ უვლიდნენ და სხვა ვინმე, რომ აქ დასახლებულიყო და მოევლო მამულისათვის, არავინ ჩნდებოდა.

დღემდინაც ამ მდგომარეობაშია ის ჩინებული ადგილები, სადაც ერთ დროს ჩერქეზები სახლობდნენ.

აოხრებულს, უპატრონოდ დაგდებულს ჩერქეზეთს ახლა კიდევ უფრო აოხრებული და უპატრონო აფხაზეთი მოემატა.

კიდევ ლაპარაკი არის ახლა იმაზე—თუ ვინ უნდა დაასახლოს მმართებლობამ ამ შავი ზღვის ნაპირა ქვეყნებში.

წარსული წლების მაგალითი ცხვირ წინა გვაქვს: რუსები და სლავიანები ამ ქვეყნებში ვერ სძლებენ იმ მიზეზის გამო, რომ ბარის, ტრიალ, უტყო მინდვრის მცხოვრებნი ვერ შეეთვისნენ მთაკლდიან, ტყიან, ნოტიო ქვეყანას.

მაგრამ ამას გარდა არის კიდევ ერთი ისეთი მიზეზი, რომელიც ყველაზე უფრო უშლის რუსებსა და სლავიანებს შავი ზღვის ნაპირაზე დასახლებას: ეს გახლავთ ის გარემოება, რომ ამ ადგილებში სრულიად პური არ მოდის; აქ მოდის მხოლოთ სიმინდი, ზოგან შეიძლება მოიყვანოს კაცმა ჩინებული ღვინო, თითქმის ყველგან შეიძლება ხილეულის და წვანილის მოყვანა, მოშენება ფუთკრისა, აბრეშუმის ჭიისა და სხ.; მაგრამ პურის კი არსად, და მოგეხსენებათ, რომ რუსს უპუროთ გაძლება არ შეუძლიან.

ყველა ამ გარემოებას რომ მივიღებთ მხედველობაში, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმ სტატიებს, რომელნიც, ამ საგნის შესახებ, ამას წინათ იბეჭდებოდნენ გაზეთს „ტფილისის მოამბეში." ხსენებული სტატიების ავტორი სრულის სიმართლით და ჯეროვანის არგუმენტებით ამტკიცებდა, რომ უცხო ტომის ხალხს ამ ქვეყნებში გაძლება არ შეუძლიათ, თუ მოთავსდება, ისეთი ხალხი, რომელიც ახლაც თითქმის ისეთსავე გარემოებებში, ისეთს ჰავაში და ბუნებაში ცხოვრობს, როგორიც არის აფხაზეთში და ჩერქეზეთშიო. და ავტორი პირ-და-პირ ასახელებდა მეგრელებს.

ჩვენ შეგვიძლიან დაუმატოთ ამას მხოლოთ ის, რომ ამ შემთხვევაში იმერლებიც, თუ მოისურვებენ, ისეთივე ყოვლის მხრით გამოსადეგი ხალხია შავი-ზღვის ნაპირა ქვეყნების დასასახლებელად, როგორც მეგრელები. მართსაცა და მეორესაც შეუძლიანთ უპუროთ გაძლება,

ერთიცა და მეორეც მთა-კლდიან და ნოტიო ჰავას შეჩვეულები არიან, ერთიცა და მეორეც სრულ საიმედონი არიან პოლიტიკურის მხრით, ერთსაც და მეორესაც ექირებათ ხეირიანი მიწები, ორივენი თავიანთ ქვეყნებში შეჩვეულნი არიან ყურძნის მოყვანას, ფუთკრის მოვლას, მებოსტნეობას, ხეხილეულის მოშენებას, ერთიც და მეორეც შევიწროებულნი არიან მიწისა და მამულების სიმცირისა გამო და სხვა.

მაგრამ არიან ისეთი პირნი, რომელნიც ამ შემთხვევაშიაც, როგორც საზოგადოთ მუდამ და ყველგან, უეჭველია ჩამოაჩხირებენ რაღაც უმიზეზო და უაზრო მიზეზებს.

აქისთანა პირებისთვის სულ ერთია, რაც უნდა საფუძველი და ფაქტები მოიყვანოს კალმა; მაგრამ ამათთვის არა ვსწერთ ჩვენ ამ შენიშნევას....

ს. მ.

---

## დღიური

*** ჩვენს ოფიციალურ გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის განკარგულება, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ იმ სხვა-და-სხვა ავათმყოფობისაგან განსაწმენდათ და მოსასპობლად, რომელიც მცირე აზიიდამ ჩვენს ქვეყანაში გავრცელდა, დანიშნულს ცალკე კომისიას შეუდგენია თავის მოქმედების პროექტი; ეს პროექტი დიდ. მთავარს დაუმტკიცებია, ჯეროვანი საშუალება დაუნიშნავს იმის სისრულეში მოსაყვანად და ამოურჩევია აგრეთვე პირები, რომელთაც ეს ასე ფრიად საჭირო საქმე უნდა შეასრულონ.

*** ზემოხსენებულისავე გაზეთის სიტყვით, თფილისის ახალი თეატრის აშენების თაოსნობა მთავრობას ცალკე კომისიისათვის მიუნდვია, რომელიც შემდეგი პირებისაგან შესდგება: სენატორი სტარიცკი, ღენ. ლიმანოვსკი, უფ. ზარსევანოვი, ტალიზინი და ტალსტოი.

*** სწორეთ ისე ესევა „ამერიკულს ცირკს“ ხალხი, როგორც ბუზი თაფლს: კვირაში ხუთჯერ არის წარმოდგენა და ხუთივეჯერ ცირკი სავსეა განსაკუთრებით ესრედ-წოდებულ მდაბალ ხალხით და კინტოებით; მაგრამ არც ჩვენი „მაღალ წოდების“ საზოგადოება აკლებს ხელს. ამერიკული ამ ცირკში მხოლოთ ერთია—უფ. ლოპეცი—მარჯვე, დასტურ მარდი და შესანიშნავი გამნასტიორი და ცხენოსანი. ამას გარდა საზოგადოების ყურადღება მიქცეულია „კაც-თევზე“, რომელიც, როგორც მაყურებელს ეჩვენება, ჩადის ხოლმე წყალში, სჭამს იქ, სვამს წითელ ღვინოს, ციგარას სწევს, და ამ ნაირად უკანასკნელი ხუთი მინუტის განმავალობაში რჩება.

ძალიან კარგი იქნება, რომ პოლიცია დაუშლიდეს ვარჯიშობას ამ ცირკში იმ ბავშვს, რომელიც გამოჰყავთ ხოლმე, შესვამენ ცხენზე და ისე საღამო არ გაივლის, რომ ერთხელ მაინც არ გადმოვარდეს და ტირილი და ფსლიკვინი არ შექნას. მაყურებლებმა, როგორც გვითხრეს, რამდონჯერმე იყვირეს თურმე, რომ კარგი, ნუ შესვამთ საწყალ ბავშვს ცხენზედო,—მაგრამ ცირკის პატრონი ყურსაც არ იბერტყს და თავისას არ იშლის.

*** როგორც „თფილისის განცხადებანი“ გვაცნობებენ, თფილისის კლასიკურის გიმნაზიის პანსიონში არის ამჟამად სულ 120 პანსიონერი, ქუთაისისაში—100, სტავროპოლისაში—220, ბაქოს პროგიმნაზიაში—65, ერევნის—25. ამ რიცხვიდამ სახელმწიფო ხარჯით არიან: თფილისის პანსიონში—65 (30 დამსახურებული თავად-აზნაურებისა, 20 დამსახურებული ჩინოვნიკებისა და 15 მუსულმანებისა), სტავროპოლის პანსიონში სახელმწიფო ხრჯით იზრდება —142 ყმაწვილი, ქუთაისისაში—60 (50 ადგილობრივ დამსახურებულ თავად-აზნაურებისა და 10 ჩინოვნიკებისა), ბაქოსაში—40, ერევნის პროგიმნაზიის პანსიონში—12, ვლადიკავკაზის რეალურს გიმნაზიის პანსიონში—80 და ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის პანსიონში—20, ყმაწვილი.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

**დუხაბორიიდამ, 28 იანვარს.** რამწავს კარში თავს გამოჰყოფთ, პირველ ვისაც შეხვდებით, ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ, ხელებს მიისრეს-მოისრესს, მხრებს შეათამაშებს და გეტყვისთ.

— ჰუ! რა საშინლად ცივა;

ცივა. ამოდენა თოვლისთვის კაცს ვერ გაუტანებია. ამ დღეებში ერთი დოქტორი ავათმყოფთან მიდიოდა და ისე ჩაეფლა თოვლში, რომ ნიჩბებით ძლივს ამოთხარეს. რას იზამთ? ზემოდან ნამქერი და ფეხებში წელამდინ თოვლი.

აბა კიდეც ეს გარემოება გვაბრკოლებდა, თორემ სიცოცხლე გქონდესთ, რომ აქამდე არზრუმს და ადრიანოპოლს კი არა სტამბოლსაც კი ცაში შევსტყორცდით!

მაგრამ რას ვამბობ? სტამბოლისა რა მოგახსენოთ და არზრუმის აღებისა კი ჩვენმა მღვდელმა სამ კვირაზე მეტია პარაკლისი გარდაგვიხადა. ცხადათ მოეჩვენა თუ სიზმრათ, ამ სულიერ მამას ის არ ვიცი; მაგრამ არზრუმს კი ჯერ ყურებიც არ შეუპერტყია. ადვილათ წარმოსადგენია ამ გვარი მოვლენა, თუ რომ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჩვენ, ამ ომიანობისავე გამო, მოვემწყვდიეთ იმისთანა მიყრუებულ მხარეში როგორათაც ეს დუხაბორების სატახტო ქალაქია, სადაც მოკლებულნი ვართ თავის დროზედ ახალი ამბების შეტყობას გაზეთების საშუალებით. მაშა სადამე მოდი და ნუ გაუგონებ მღვდელს!

მე ვამბობ—დუხაბორების სატახტო ქალაქში მოვემწყვდიეთ-მეთქი, და მგონი არავითარ მამაკვდინებელ ცოდვათ არ შემერიცხოს თუ რომ ამ სოფელს დუხაბორების სატახტო ქალაქად ჩავთვლი, თუმცა კი ესევე ნაწილია ჯავახეთისა და მაზრა ახალქალაქისა; მით უფრო, რომ უფ. ჯავახის აზრით (იხილე „დროება“, № 4.) აქ ღმერთობს რომელიმე დედაკაცი, რომელსაც დუხაბორები თაყვანს სცემენ და წმიდანათ სწამთ! უფ. ჯავახს გაუგონია ალია მოკვდარაო, და რომელი ალია იმისი რა მოგახსენოთ.. ის იწერება სხვათა-შორის რომ მთავრობამ 2,000 დაჭრილი და ავათმყოფი სალდათი დაარიგა დუხაბორებშიო და სულ კი 985 კაცია დარიგებული; თვითეულ ავათმყოფს წითელი ჯვრის საზოგადოება დღეში 40 კ. აძლევსო, მაშინ როდესაც 50 კაპ. სამხედრო მთავრობიდგან ეძლევათ; და ათავებს იმით, რომ დოქტორებს ძაღლებისა ეშინიანთო და სხვ.

უცოდველი ვინა ვართ? შეიძლება კორრესპონდენტს ათას სასარგებლო და ჭეშმარიტ აზრში ერთი უსარგებლო გამოადგეს, ან არა და ერთი რომელიმე უმთავრესი აზრი ფიქრათაც არ მოუვიდეს. მაგალითათ: გორელი კორრესპონდენტი ამას წინეთ გორის საზოგადოებას ურჩევდა, (იხილ. „დროება“, № 215, 1877 წლისა), რომ მიაქციონ ყურადღება და ისარგებლონ იმ შემთხვევით, რომ გორთან ვლადიკავკაზიდგან რკინის გზა ჩამოივლის და ეს გზა ეცადონ, რომ ლიახვის მარცხნივ ჩამოატარებინონ, და ამ საშუალებით გაიმაგრონ ლიახვის პირი და აიცილონ ის მუდამ წლიური ზარალი, რასაც ლიახვი ორ გორის ახლად გაშენებულ უბნებს აძლევს.

ვინ არ დაეთანხმება უფ. კორრესპონდენტს, რომ ის ყოვლად სასარგებლო აზრს ურჩევს გორის საზოგადოებას; მაგრამ ერთი უფრო უსაჭიროესი საგანი კი ფიქრათაც არ მოსვლია: ჩემის აზრით, ხსენებული რკინის გზის შემთხვევით და შემწეობით გორს შეუძლიან მტკვარზე იმისთანა ხიდი გაიმართოს, რომ საუკუნოთ დაიცვას თავი იმ მუდამ დღიურ ზრუნვისა და ხარჯისაგან რასაც ის აწმყო ხის ხიდის გამო ზრუნავს და ხარჯამს. გორის საზოგადოებას შეუძლიან იმ ფულით, რაც იმას გაწერილი აქვს მთელ მაზრაზე, შეუამხანაგდეს რკინის გზის კამპანიას წამოაღებინოს რკინის გზის დამბა ლიახვის მარცხნივ იმ გვარად, რომ რკინის გზამ მარშლის ბაღს გვერდ გამოუაროს, საზოგადო ბაღი შუა გაყოს და აქ მტკვარზე იმ ნაირი ხიდი გამართონ, რომ ლოკომოტივი დაიარებოდეს და საზოგადო გზაც ცალკე იყოს. მაშინ გორი ორ ნაირ მოგებაში იქნება: საუკუნო ხიდი და მთელი წმინდა წყალი გაშენებული.

„ყველა თავისას სჩიოდა, მენახირე ბუზანკალსაო!“ ეს ყველა, ყველა, მაგრამ ამ ყოველიფრის სიძვირემ რო ძაჰლა წაიღო, ეს კი არაფრად მოსაწონია! წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა: მოვემ-

წყვდიეთ ამ გვარ მდიდარ სოფლებში, როგორც დუხაბორების სოფლებია და მაინც კიდევ, გირვანქა პურში 6—7 კაპეიკს ვაძლევთ და იმასაც ხვეწნით და ვედრებით ვშოულობთ; გირვანქა ერბოში 70—80 კაპ. თითო კვერცხში შაურს, და მოდი ცოლშვილით და ნუ ასტირდები!

ან კი რა გასაკვირველია ამისთანა დროში და ამდენ მოთხოვნილებაში! ომის დაწყებისა-თანავე ამ დუხაბორებიდგან ზეგარათ გაყვანილ იყვნენ 400 ფურგუნი ოთხ-ოთხ ცხენით, რომელნიც თვე-და-თვე იცვლებოდნენ. 130—160 მანეთი ეძლეოდათ თვეში. ახლა ეს ზეგარის ფურგუნები მთავრობის განკარგულებით დათხოვნილი არიან, თუმცა კი ჯერ არ მოსულან შინ. ამ ფურგუნების ნაცვლად ნებაყოფლობით დაიქირავეს 160 მარხილი წყვილი ცხენით თვეში 260 მანეთად, რომელთაც ის ფურგუნები არზრუმთან უნდა გამოცვალონ. ამასთანავე ამათივე ფურგუნებით მთელი გრენადერის დივიზია იყო გადაყვანილი თითქმის ბრძოლის ველამდე. ამ უკანასკნელ შრომაში 16,000 თუ 18,000 მანეთი მიიღეს სამხედრო მთავრობიდგან.

დანარჩენი წვრილმანი მოთხოვნილებაც რასაკვირველია ბევრი აქვთ ასე რომ თუმცა ფულსაც იძენენ, მაგრამ არც შრომა აკლიათ.

ახლა კიდევ 18 ნოემბერს აქეთია ამათი რვა სოფელი ერთს გოსპიტლათ არის გარდაქცეული, სადაც დარიგებულნი არიან სახლებში 985 დაჭრილი და ავათმყოფი სალდათები.—საკუთრად, მარტო ამ ავათმყოფ სალდათების საჭმელსასმელში სამხედრო მთავრობიდგან დუხაბორების საზოგადოებას თვეში 14,775 მანეთი ეძლევა.

საზოგადოთ სახადი ყველგან გავრცელებულია, მაგრამ აქ დუხაბორებში იმდენათ არ არი, როგორც თვითონ ახალქალაქშია.

ილ. ალხაზაშვილი.

სოფ. გორელოვკა

# ომის ამბები

## შერიგების თაობაზე

თვითონ ხელმწიფე იმპერატორმა წარმოთქვა ამ დღეებში, ჯარების დახედვის დროს, პეტერბურღში, რომ „ჯერ არაფერი არ გათავებულაო, ჩვენ მზათ უნდა ვიყვნეთ, სანამ მტკიცე და რუსეთის საკადრისი შერიგება არ მოხდებაო.“

მართლაც, დღევანდელ ნომრის ტელეგრამმებში და ქვემოთ წაიკითხავთ ისეთს ამბებს, რომელნიც როგორღაც მშვიდობიანობას არ გვიქადიან; ყველანი საბრძოლველად ემზადებიან: ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები თავიანთ ჯარსა და ფლოტს სტამბოლში გზავნიან; ინგლისმა კიდეც გაგზავნა, გერმანია ჯარებს ამზადებს, საფრანგეთი ხომალდებს აგროვებს, ავსტრო-ვენგრიაში დიდი მოძრაობაა სამხედრო კაცებისა, თვით დანიაც კი ემზადება ვილაცას და რაღაცას წინააღმდეგ.

როცა პოლიტიკური მდგომარეობა ამ ნაირად არეულია, როცა მთელი ევროპა ასე აღელვებულია, ერთი ნაპერწკალი, უბრალო რამ მიზეზი საკმაოა, რომ საშინელი ცეცხლი გაჩნდეს და ეს ცეცხლი მთელს ქვეყანას მოედოს...

— რუსული გაზეთები ძალიან ეჭვიანად უყურებენ იმ კონფერენციას, რომელიც რუსეთსა და ოსმალეთს შუა შერიგებისა და საზოგადოთ აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე მოსალაპარაკებლად უნდა შეიკრიბოს. ამ გაზეთებისათვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ ევროპის სახელმწიფოები სულ არ გარეულიყვნენ ამ საქმეში და რუსეთს პირ-და-პირ ოსმალეთთან ჰქონოდა მოლაპარაკება და მარტო ესენი მორიგებულიყვნენ ერთმანეთში.

გაზეთი „ახალი დროება“, მაგალითად, ძალიან უჯავრდება გამბეტას გაზეთს Republique Française“-ს, რომელმანც გამოთქვა ის ჰაზრი, რომ რუსეთს აქვს უფლებაო, რომ მხოლოთ ომის ხარჯი მოსთხოვოს თავის დამარცხებულ მტერსო, ყველა დანარჩენ საგნების გადაწყვეტა კი მხოლოთ იმ სახელმწიფოებს შეუძლიანთ, რომელთაც 1856 წლის პარიჟის ტრაქტატს ხელი მოაწერესო.

„მოსკოვის უწყებაში“ კი სასოწარკვეთილებით ამბობენ:

„კონფერენცია მშვიდობიანობის ჩა-
„მოსაგდებათ უნდა შეიკრიბოს. მაგრამ
„ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ ეს კონფერენ-
„ცია უარესს, ევროპიულს ომს ასტეხს.
„რაც უნდა იყოს, ჩვენ ჩვენი ხელმწი-
„ფის იმედი გვაქვს; იმან იცის თავის
„ხალხი, იცის რუსეთის საჭიროება. ჩვენ
„მზათა ვართ, ხელმწიფეო.“

— ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენცია რომიდამ მიღებული:

„რუსეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა იტალიის მმართებლობას მისცეს წინადადება, რომ იმანაც ამ სახელმწიფოების მხარე დაიჭიროს და იმათთან ერთად იმოქმედოს კონფერენციაზე. ამათი პირობა ის არის, რომ რუსეთს არაფერი მიწა არ დაუთმონ და ოსმალეთის ქრისტიანების მდგომარეობა შეამსუბუქებინონ ოსმალეთს. იტალიამ ეს წინადადება თანაგრძნობით მილო და ინგლისის, საფრანგეთის და ავსტრიის მხარეს იჭერს.“

## ომის თვის მზადება

ინგლისის ხმელთა-შუა ზღვის ფლოტი, რომელზედაც ამ უკანასკნელ დროს ამდენს ლაპარაკობენ და რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად ბოსფორში დგას, სტამბოლის პირ-და-პირ, შესდგება სულ 22 ხომალდისაგან; ამ ოცდა-ორ სამხედრო ხომალდში 12 ჯავშნიანია და 10 უჯავშნო. ყველა ხომალდებზე 168 ზარბაზანია, ჯავშნიანზე—111 და უჯავშნოზე კი—57.

—ფრანცუზულს გაზეთს, „Le Temps“-ში იწერებიან 20 იანვარს ვენიდამ, რომ ავსტრო-ვენგრია სამ დიდ სამხედრო ხომალდს (ფრეგატს) ამზადებს სტამბოლში გასაგზავნელადაო.

— ვენიდამვე „კელნის გაზეთში“ იწერებიან:

„ვენგრიის მმართებლობის გაზეთებში გამოცხადებულია, რომ სამხედრო სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ ავსტრიის ერთი კორპუსი მზად იყოს ლაშქარში წასასვლელად. ეს კორპუსი, როგორც ამბობენ, სერბიის სამზღვარზე უნდა იქნეს გაგზავნილიო.“

— გაზეთს „პოლიტიკურ კორრესპონდენციაში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ერთმა დიპლომატმა ჰკითხა ამ დღეებში გერმანიის სტამბოლელ ელჩს თ. რეისს: მოელის ის რუსების სტამბოლში შემოსვლის, თუ არა? თ. რეისმა უპასუხა, რომ რუსები, იქნება ომი თუ არა, მაინც ყოველ შემთხვევაში შემოვლენ სტამბოლშიო: თუ ომი გაგრძელდა, უეჭველია, ძალით შემოვლენ, რადგან ოსმალეთი სტამბოლს ვერ დაიცვავსო; და თუ მშვიდობიანობა ჩამოვარდა, იმ შემთხვევაშიაც შემოვა, აქ ჩასხმენ რუსის ჯარს ხომალდებში და ისე გაისტუმრებენ ოდესამდინ, რადგან იმავე, ბალკანის მთების გზით უკანვე დაბრუნებას რუსებს ზღვით დაბრუნება ურჩევნიათო.“

— პარიჟიდამ მოვიდა შემდეგი ტელეგრამმა:

„აქ მოვიდა სტამბოლიდამ ამბავი, რომ ბათუმიდამ ახლად დაბრუნებულს ადმირალს გობარტ-ფაშას მისვლია ბრძანება, რომ ოსმალეთის სამხედრო ხომალდებით მიადგეს საბერძნეთის ქალაქებს პირეის და ათინას და დაუშინოს ზღვიდამ ზარბაზნები, თუ ახლავე არ გამოიყვანებენ ბერძნები თავის ჯარს, რომელიც თესალიაში და ეპირში გაგზავნესო.“

— გაზეთის „Голосъ“-ის ვენელი კორრესპონდენტი ამ სიტყვებით აგვიწერს ინგლისის და რუსეთის იქაურ ელჩებს:

„მოგეხსენებათ, რომ კონფერენცია, როგორც ამბობენ, აქ, ვენაში უნდა შეიკრიბოს; მაშასადამე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ პირთ, რომელნიც ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებათ იქნებიან აქ დანიშნულნი. ორს ამათგანზე, ინგლისისა და რუსეთის ელჩებზე მოგახსენებთ ახლა რამდენიმე სიტყვას:

„ლორდი ბუკანანი", გავიდა" და იმის ადგილზე მოვიდა აქ ინგლისის ელჩათ ჰენრი ელიოტი. ამ პატივცემულ კაცს ფუვალის კარგათ იცნობს მთელი ქვეყანა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იმან „თავის მოკვლა უბრძანა" მიცვალებულ ხონთქარს აბდულ-აზიზს, როდესაც სტამბოლში იყო ინგლისის წარმომადგენლად და მითხად-ფაშასთან ერთად ოინობდნენ რუსეთის ელჩის ღენ. იგნატიევის წინააღმდეგ. უჩემოთაც იცით თქვენ — თუ ეს არისტოკრატულ კანში გახვეული, ჭკვიანი, სიმპატიური და ღმობიერი შეხედულობის კაცი რა ეშმაკი, რა გაიძვერა ვინმეა და როგორ არ ზოგავს ის არაფერს საშუალებას, ოღონდ კი თავის განზრახვა და სურვილი შეასრულოს. ინგლისის ახლანდელ სამინისტროს გაიძვერა თავს-მჯდომარემ ლორდ ბიკონსფილდმა ტყუილა კი არ ამოარჩია ის ინგლისის ელჩად ახლა, ვენაში, ამ გარემოებაში.

„თუ სტამბოლში ყოფნის დროს ამ ჰენრი ელიოტმა დიპლომატიურ გაიძვერობაში ღენ. იგნატიევს აჯობა, თუ ის დაამარცხა, რაღა თქმა უნდა, რომ იმას არ გაუჭირდება გაასუროს ყინულზე ჩვენი ახლანდელი აქაური ელჩი უ. ნოვიკოვი, რომელსაც გაიძვერობასა და დიპლომატიურ ოინობას კაცი ვერ შესწამებს. მართალიც, თითქო ხუმრობით, მოსვლისა-თანავე ჩაჩრდილა იმან აქ ჩვენი ელჩი. ჯერ ერთი კვირაც არ არის, რაც ელიოტი მოვიდა აქ და ჩვენმა ელჩმა ახლავე იგრძნო იმის მოსვლა და გავლენა.."

### აზიის ბრძოლის ველიდამ

ვენის გაზეთს „Polit. Corresp."-ში იწერებიან 10 იანვარს თფილისიდამ:

„ღენ.-ლეიტ. ლაზარევმა მთავარ-სარდლისაგან მიიღო ბრძანება, რომ მუშისა და ვანის წინააღმდეგ იმოქმედოს თავის ატრიადით. ამ მაზრების ქურდებმა ჯერ გამოგზავნეს დეპუტაცია და გამოუცხადეს რუსებს მორჩილობა; მაგრამ მალე უღალატეს: იზმაილ-ბეიმ შეკრიბა იმათში ჯარები, რომელსაც განზრახვა ჰქონდა ბათუმისაკენ წასულიყო იქაურ ოსმალოს კორპუსის მოსაშველებლად. მაგრამ ამ დროს ღენ. ლაზარევმა გაგზავნა ვანისაკენ 4 ბათალიონი ქვეითა ჯარი, 1,400 კაცი ყაზახი-რუსი 8 ზარბაზნით, რომელმანაც გაჰფანტა ეს ქურთები. ამის შემდეგ ქურთებს წარმოადგენინეს ამანათებად რამდენიმე კაცი და ამნაირად დაამშვიდეს.

„ღენ. ტერ-ღუკასოვი, როგორც ისმის, დაპყრობილი ოსმალოს სომხეთის ღენერალ-ღუბერნატორად ინიშნება. ამ ღენერალს დიდი შრომა და მძიმე მოვალეობა მოელის; მაგრამ ვინც იმას იცნობს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის ყველაფერს რიგიანათ შეასრულებს."

—

გაზეთის „Обзоръ"-ის ყარსელი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ყარსა და ჰასსან-კალეს შუა, უგზობისა და სიცივის გამო, ძალიან ბევრი ხალხი და საქონელი იხოცება; ავათმყოფების გადაყვანა ერთობ უძნელდებათ, რადგან თბილი ტანისამოსი და პავოზკები არა აქვთო და სხვ.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, მარტო ჰასსან-კალეს ლაზარეთებში და სახლებში ამ ჟამად 5,000 კაცი წევს მომეტებული ნაწილი სახადით ავათმყოფები.


## განცხადებანი

სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებლად.

ადრესის შეტყობა „დროების" რედაქციაში შეიძლება. (5—2)

კავკაზიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება სრულიად ხალი ჭიის თესლი, ყვითელი, „იტალიის" ჯიშისა; სულ გასასყიდლად არის 14 გირვანქა, და ისყიდება მისხალი ექვს შაურად გაგზავნით საიდამაც კი მოითხოვენ კავკაზიაში. ერთს პირს 10—50 მისხალზე.

ვისაც ამ აბრეშუმის თესლის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართოს ხსენებულს საზოგადოებას მიმავალ მარტის პირველ რიცხვამდინ, თან უნდა გამოგზავნოს ფული და თავის დაწვრილებული ადრესი.

ეს თესლი მოტანილია მილანიდამ 1876 წელს უფ. ზეიდლიცისაგან და 1877 წელს ფონ-ბახისაგან გაზრდილის ჭიისა არის, რომელიც ჩინებულად მოშენდა თფილისის მახლობლად და ავათმყოფი ჭიები სრულიად არ ყოფილა. 15 მისხლის თესლიდამ ფონ-ბახმა გააკეთა სამი ფუთი და ნახევარი პარკები, რომლისგან გამოვიდა 15 გირვანქა თესლი.

ამ თესლის პარკები საზოგადოების მუზეუმში არის საქვეყნოდ გამოფენილი.

ჩაის მაღაზია

## პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა გოლოვინის პროსპექტზე, მირიევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მოედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჟდენ ბედინიძე

ვისაც ჰსურს თავის რქიანი საქონელი და ღორები მარგებელი საკვებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოდში.


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | [illegible] | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 28 იანვარს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 263 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 238 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 233 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის | 83 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემზღ. | 527 | — |
| კავკაზის და მერკური. | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 1 თებერ. | | |
| ფქვ. თეთ. ზანგისა, ფუთ. | 2 | 15 |
| ფქვილი წითელი | 1 | 80 |
| ქერი ფუთი | 1 | 50 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 8 | — |
| — ამერიკისა, ფუთი | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| — ცხვრისა, ლიტრა | — | 90 |
| სპირტი, გრადუსი | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 8 | 60 |
| — ფხვნილი ფუთი | 8 | — |
| ყავა გრგვალი, გირვ. | — | 80 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 8 | — |

Дозволено цензурою Тифлисъ, 1 Февраля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.